საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა გამოხატავს მკაფიოდ უარყოფით დამოკიდებულებას სახელმწიფო ტყეებისთვის სტატუსის შეწყვეტის პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით, რომელიც საკურორტო და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით უნდა განხორციელდეს. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს 2022 წლიდან მოქმედი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ფართო საზოგადოებრივი პროტესტის ფონზე დაამტკიცა.

ცვლილებების მიხედვით, უსაფრთხოებასთან და სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებულ უპირატეს ინტერესებს, რის გამოც შესაძლებელია სახელმწიფომ უარი თქვას ტყის შენარჩუნებაზე, დაემატა კერძო ინვესტიციის არსებობა საკურორტო-და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ამ მიზნით შემუშვებული დამატებითი რეგულაციების მიხედვით, გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მთავრობის მიერ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. ასევე შემუშვებულია საკანონმდებლო მექანიზმები, რომელიც ინვესტორს ავალდებულებს, შეინარჩუნოს ამორიცხულ ტერიტორიებზე დარჩენილი ხეების გარკვეული რაოდენობა.

სამწუხაროდ, შემოთავაზებული მექანიზმები არ არბილებს იმ ზიანს, რასაც სახელმწიფო ტყის სამართლებრივი სტატუსის გაუქმება, ტყის ეკოსისტემებისთვის შეუთავსებელი ინფრასტრუქტურულ და ფუნქციური დატვირთვა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის პირადი ტყითსარგებლობის სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა გამოიწვევს.

პროცესი მოიცავს რისკებს როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და ადამიანის უფლებების მიმართულებით. ესენია:

- ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შემცირება, რაც წინააღმდეგობაშია როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებთან;
- ბუნებრივი ლანდშაფტების ფრაგმენტაცია და ბიომრავალფეროვნების კარგვა;
- ეკოლოგიური საფრთხეებისა და რისკების ზრდა, რაც დაკავშირებული იქნება ტყეების ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქციის მოშლასთან და ბუნებრივი ეკოსისტემების გარდაქმნასთან უბრანულ და ანთროპოგენულ ზონებად (ჰაერი, წყალი, კლიმატი, სტიქიები);
- ადგილზე კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის შემცირება;
- საქართველოს მოქალაქეების კანონით დადგენილი უფლებების დარღვევა ტყეში შესვლისა და პირადი სარგებლობისთვის ტყის რესურსების გამოყენების შესახებ; ამ ნიადაგზე კონფლიქტების წარმოქმნა;
- 2012 წლიდან დღემდე თანმიმდევრულად შემუშავებული და როგორც სამართლებრივად, ასევე პროგრამულად მხარდაჭერილი ტყის ტურისტულ-რეკრეაციული მართვის სისტემებისა და ეკონომიკური მოდელების უკიდურესად შესუსტება;
- ტყისა და მიწის მართვიდან მოსალოდნელი სახელწმიფო შემოსავლების შემცირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული პლატფორმა მოუწოდებს:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
    - მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზანშეწონილების დადგენის პროცესში, სიღრმისეულად შეაფასოს წარმოდგენილი კომპლექსური რისკები და არ გასცეს დადებითი დასკვნა მანამდე, ვიდრე ფუნდამენტურად არ გამოირიცხება ყველა მათგანი;
    - წარმოადგინოს ისტორიულად არსებული ტყეებისა და ბუნებრივი ეკოსისტემების ტურისტული ინფრასტრუქტურით ჩანაცვლების უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც ასევე მოიცავს პროექტების ხარჯსარგებლიანობისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასებას და იმ სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს, რომლის მიღწევაც შეუძლებელია სატყეო კანონმდებლობის ფარგლებში, ტყის მართვის არსებული ეკონომიკური მოდელების შესაბამისად.
- საქართველოს მთავრობას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თვითმმართველ ერთეულებს, კერძო სექტორს
    - თავი შეიკავონ ტყეების სამართლებრივი სტატუსის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებების ინიცირებისგან, რომლებიც გამორიცხავენ ტყეების ფიზიკურ შენარჩუნებას და წარმოქმნიან მასშტაბურ, ხშირად ეროვნული

დონის გრისკებს გარემოს დაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების კუთხით.

- საქართველოს პარლამენტს
    - შეაჩეროს ვიწრო ფინანსურ და ეკონომიკურ ინტერესებზე მორგებული რეგულაციების მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს მთლიანად სატყეო დარგის განვითარებას.